FUKUYAMA
DEMOCRACY
FRONTLINE CENTRE

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

#WORLDFORUKRAINE #STOPPUTINNOW #STOPWAR #PUTINWORLDCRIMINAL

WORLD FOR UKRAINE.

გერმანია უკრაინისთვის!

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული სამხედრო ინტერვენციისა და სრულმასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების დაწყების შემდეგ, რაც რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის განცხადებით, მიზნად ისახავდა "უკრაინის დემილიტარიზაციასა და დენაციფიკაციას"[1], დასავლეთის უმკაცრესი რეაქცია მოჰყვა. შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა რუსეთს ეკონომიკური და ფინანსური სანქციები უკრაინაში ომის დაწყებისთანავე დაუწესეს. შემდგომში, ეს სანქციები რამდენჯერმე გაფართოვდა და რუსეთის ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორს შეეხო.

არსებული სკეპტიციზმის მიუხედავად, ევროკავშირმა მოახერხა სანქციებთან მიმართებით ერთიანობის შენარჩუნება და ევროპაში ომამდე არსებული დამოკიდებულება რუსეთისადმი კარდინალურად შეიცვალა.

ყველასთვის მოულოდნელად, ერთ-ერთი პირველი ევროპული ქვეყანა, რომელმაც რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესების შესახებ განაცხადა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა იყო. 24 თებერვალს გერმანიის ფედერალური მთავრობის გადაწყვეტილებით, მილსადენი „ჩრდილოეთის ნაკადი 2"-ის სერტიფიცირების პროცესი ოფიციალურად შეჩერდა[2]. როგორც ცნობილია, ეს ენერგეტიკული პროექტი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ინტენსიური განხილვის საგანს წარმოადგენდა როგორც გერმანიასა და ევროკავშირში, ასევე აღმოსავლეთ ევროპაში. სოციალ-დემოკრატი კანცლერის, გერჰარდ შრიოდერის მიერ 2005 წელს დაწყებული „ჩრდილოეთის ნაკადის" პროექტი, ქრისტიან-დემოკრატმა კანცლერმა, ანგელა მერკელმა 2021 წელს ამერიკის ახლადარჩეულ პრეზიდენტ, ჯო ბაიდენთან მიღწეული შეთანხმებით დადებითად გადაწყვიტა.

რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები მიზნად ისახავს რუსული ეკონომიკის დასუსტებას და ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას, რამაც, საბოლოო ჯამში, უნდა შეამციროს სამხედრო კამპანიისთვის საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობა კრემლისთვის[3]. **ისინი ვრცელდება ფინანსურ, ენერგეტიკისა და სატრანსპორტო სექტორებზე, ისევე როგორც კერძო პირებსა და ორგანიზაციებზე.** გარდა ამისა, სანქციები ასევე მოიცავს სავიზო შეზღუდვებსაც.

1 https://www.nytimes.com/2022/02/23/world/europe/putin-announces-a-military-operation-in-ukraine-as-the-un-security-council-pleads-with-him-to-pull-back.html

2 https://www.bbc.com/news/world-europe-60125659

3 https://www.bundesregierung.de/breg-de/themen/krieg-in-der-ukraine/eu-sanktionen-2007964

ფინანსური სექტორი:

რუსული ბანკების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის უმსხვილესი სახელმწიფო და კერძო ბანკები, თანმიმდევრულად გაითიშნენ SWIFT-ის (Society for Worldwide Interbank Financial Telecommunication) სისტემისგან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოხდა აღნიშნული ინსტიტუტების საერთაშორისო საფინანსო ოპერაციებიდან ჩახსნა. მათ აღარ შეუძლიათ საერთაშორისო საგადასახადო ოპერაციებისთვის განკუთვნილი ყველაზე დიდი ქსელის გამოყენება. ეს ცხადია მნიშვნელოვნად ზღუდავს გლობალურად მათი მოქმედების შესაძლებლობას. 2012 წელს, ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული სანქციების გამო ირანის SWIFT-ის სისტემიდან გათიშვამ ქვეყნის საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა 30%-ით შეამცირა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ გადაწყვეტილებას პოლემიკის გარეშე არ ჩაუვლია. გერმანია იყო იმ ევროპულ ქვეყნებს შორის (იტალიასთან, უნგრეთთან, საბერძნეთთან ერთად), რომლებიც განსაკუთრებული სიფრთხილით განიხილავდნენ რუსეთის SWIFT-იდან გათიშვას. მმართველი კოალიციის აზრით, აღნიშნული სანქციის შემოღებას, შესაძლებელია, სირთულეები შეექმნა რუსული გაზისა და ნავთობის საფასურის ანაზღაურების თვალსაზრისით, რაც თავისთავად ნეგატიურად აისახებოდა გერმანიის მრეწველობაზე.[4] გერმანელები ასევე არ გამორიცხავდნენ, რომ ეს სანქცია რუსეთის მძაფრ საპასუხო რეაქციას გამოიწვევდა და შესაძლებელია, პუტინს თავად შეეზღუდა ევროპისთვის ენერგორესურსების მიწოდება. შექმნილი რეალობის გაანალიზების შემდეგ, გერმანელებისთვის ცხადი გახდა, რომ SWIFT-ის გათიშვის შემთხვევაშიც არსებობდა რუსეთთან ფინანსური ანგარიშსწორების შესაძლებლობა, ისეთივე ფორმით, როგორც ეს ხდებოდა 1973 წლამდე საერთაშორისო ბანკთაშორისი ანგარიშსწორების სისტემის - SWIFT-ის შემოღებამდე[5] და ისინი რუსეთის წინააღმდეგ აღნიშნული სანქციის ამოქმედებას დათანხმდნენ.[6];

2022 წლის მარტის დასაწყისში ევროპის კავშირმა აკრძალა რუსეთის ცენტრალური ბანკის ტრანზაქციები და გაყინა დასავლეთის ბანკებში არსებული მისი ფინანსური აქტივები. ფედერალური მთავრობის სამიზნე გახდა რუსი ოლიგარქების ფინანსური აქტივებიც. რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა დაკარგა წვდომა სავალუტო რეზერვების იმ ნაწილზე, რომლებიც ევროკავშირში და შეერთებულ შტატებში იყო დაგროვებული. სხვადასხვა შეფასებით[7], რუსეთმა დაკარგა წვდომა სავალუტო რეზერვების 60%-ზე. შედეგად, რუსეთისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სახელმწიფო საწარმოები, მათ შორის თავდაცვის სფეროში, ვეღარ მოახერხებენ მათთვის აუცილებელ კაპიტალზე წვდომას.

აღნიშნული მოცულობითი სანქციების სრულფასოვნად განხორციელებისთვის გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ საგანგებო სამუშაო ჯგუფი ჩამოაყალიბა, რომელსაც ერთობლივად უხელმძღვანელებენ გერმანიის ეკონომიკისა და კლიმატის დაცვისა და ფინანსთა ფედერალური სამინისტროები. საგულისხმოა, რომ ასეთივე ჯგუფი შექმნა ევროპის კავშირმაც .[8]

4 https://www.daserste.de/information/talk/maischberger/videos/lindner-112.html

5 https://www.tagesspiegel.de/politik/swift-ausschluss-russlands-der-teufel-liegt-im-detail/28111842.html

6 https://www.reuters.com/world/europe/germany-favour-targeted-functional-swift-curbs-russia-minister-2022-02-26/

7 https://www.ft.com/content/3f1c7151-93ed-48ff-a23c-496320919621

8 https://www.bundesregierung.de/breg-de/themen/krieg-in-der-ukraine/eu-sanktionen-2007964

ენერგოსექტორი:

„ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის სერტიფიცირების პროცესის შეჩერება გერმანელებისთვის ერთ-ერთი ყველაზე რთულად მისაღები გადაწყვეტილება იყო. 1990 წლის 3 ოქტომბერს გერმანიის გაერთიანების შემდეგ, გერმანიის პოლიტიკური ელიტის გადაწყვეტილებით, რუსეთთან ორმხრივი ურთიერთობების ახალი ეტაპი დაიწყო. რუსეთისადმი კეთილგანწყობის გამოხატვის მიზნით გათვალისწინებული იყო რუსეთისთვის მაქსიმალური ეკონომიკური მხარდაჭერა და რუსული დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობა, რასაც რუსეთის დასავლეთთან დაახლოება უნდა დაეჩქარებინა. ეს მიდგომა წარმოადგენდა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან გერმანიაში უკვე არსებული ე.წ. Ostpolitik-ის (აღმოსავლეთის პოლიტიკის) გაგრძელებას, რომლის ამოსავალი წერტილიც, დევიზი „ცვლილება/გარდაქმნა ვაჭრობის მეშვეობით“ (Wandel durch Handel) იყო. ამ ხედვის თანახმად, ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებით და რუსეთის ეკონომიკის დასავლეთთან მჭიდროდ დაკავშირებით, შესაძლებელი იქნებოდა რუსეთის დემოკრატიულ სახელმწიფოდ ტრანსფორმაცია და დასავლური ფასეულობების დამკვიდრება. ეს, ცხადია, ორივე მხარისთვის, მომგებიანი უნდა ყოფილიყო. აქვე მნიშვნელოვანია, რომ გერმანიის სწრაფად მზარდ სამრეწველო სექტორს სასიცოცხლოდ ესაჭიროებოდა ხელმისაწვდომი და იაფი ენერგორესურსები (ნავთობი, გაზი და ქვანახშირი), რომელთა უხვი მარაგებიც რუსეთს გააჩნდა. შესაბამისად, 90-იანი წლებიდან მოყოლებული გერმანიამ დაიწყო რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობას. 2020 წელს, გერმანიაში რუსული იმპორტის 59%-ს ნედლი ნავთობი და გაზი შეადგენდა.[9] არსებული დინამიკის გათვალისწინებით, ბოლო 30 წლის მანძილზე გერმანიის ენერგო-დამოკიდებულება რუსეთზე თანმიმდევრულად და მნიშვნელოვნად იზრდებოდა.[10] რუსული გაზის წილი გერმანიის საერთო მოხმარებაში 55%-ს შეადგენს, რაც ევროპის კავშირში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.[11]

„ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის პროექტი, რომლის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერიც გერმანიის ყოფილი ფედერალური კანცლერი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი და შემდგომში რუსეთის სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული კომპანია Rosneft-ის თავმჯდომარე, გერჰარდ შრიოდერი იყო, 2011 წელს დაიწყო და ევროპული ქვეყნების მკვეთრი კრიტიკის მიუხედავად, გერმანული საზოგადოების ფართო მხარდაჭერით სარგებლობდა. ევროპის კავშირის წევრი და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისთვის, „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ ცალსახად პოლიტიკურ პროექტს წარმოადგენდა და ევროპაზე რუსეთის ენერგო-დამოკიდებულების გაზრდას ისახავდა მიზნად. მათ მიაჩნდათ, რომ გრძელვადიან პერიოდში, ის საშუალებას მისცემდა რუსეთს უარი ეთქვა უკრაინის ტერიტორიის გავლით ევროპაში საკუთარი გაზის ექსპორტზე, რაც უკრაინის ეკონომიკას სერიოზულ სირთულეებს შეუქმნიდა და, ამავე დროს, მნიშვნელოვნად გაზრდიდა რუსეთის ენერგეტიკულ ბერკეტს ევროპის ქვეყნებზე. თავად გერმანიაში „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ს ყველაზე აქტიურად მწვანეთა პარტია ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მათი უკმაყოფილება ძირითადად უკავშირდებოდა ამ მასშტაბური პროექტის

9 https://www.destatis.de/EN/Press/2022/02/PE22_N010_51.html

10 https://www.thetimes.co.uk/article/merkels-toxic-legacy-germany-nears-a-reckoning-over-ties-to-russia-7lgms9vz8

11 https://www.dw.com/en/can-germany-survive-without-russian-gas/a-61294623

გარემოზე ნეგატიურ გავლენასა და ბუნების დაცვის საკითხებს.

ევროპის კავშირში, მათ შორის თავად გერმანიაში, ჩატარებული არაერთი სამეცნიერო კვლევის მიუხედავად, რომლებიც ახალი გაზსადენის პროექტის აუცილებლობას სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ, გერმანიის ქრისტიან-დემოკრატმა კანცლერმა, ანგელა მერკელმა, საკუთარი 16 წლიანი მმართველობის დასრულებამდე სულ რამდენიმე თვით ადრე, შეერთებული შტატების ახლადარჩეული პრეზიდენტი, ჯო ბაიდენი, „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის წინააღმდეგ ვაშინგტონის მიერ დაწესებული სანქციების მოხსნაზე დაიყოლია.[12]

როგორც უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-სადმი სკეპტიკურად განწყობილი ევროპული ქვეყნების სიფრთხილე გამართლებული აღმოჩნდა. გერმანიის პრეზიდენტმა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრმა, ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა, რომელიც იმ გავლენიანი გერმანელი პოლიტიკოსების რიცხვს მიეკუთვნება, ვინც აღნიშნული პროექტის განხორციელებას აქამდე უწყვეტად უჭერდა მხარს, 4 აპრილს შეცდომა აღიარა და გერმანიის მისწრაფებას, რუსეთი საერთო ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურაში ჩაერთო, ჩავარდნა უწოდა.

ევროპის კავშირის მიერ რუსეთის წინააღმდეგ მზარდი სანქციების პარალელურად, გერმანიის ხელისუფლება სულ უფრო აქტიურად განიხილავს რუსეთიდან ენერგო რესურსების მინიმუმამდე დაყვანის შესაძლებლობას. გერმანიის ვიცე-კანცლერისა და ამავე დროს ეკონომიკის მინისტრის, რობერტ ჰაბეკის განცხადებით, მიმდინარე წლის ზაფხულამდე გერმანია ბოლომდე შეწყვეტს რუსეთიდან ქვანახშირის იმპორტს, წლის ბოლომდე მნიშვნელოვნად შეამცირებს რუსული ნავთობის შესყიდვას, ხოლო 2024 წლის ზაფხულამდე სრულიად ჩაანაცვლებს რუსულ გაზს. აღნიშნული მოვლენების პარალელურად, მიმდინარე წლის 1 აპრილს ცნობილი გახდა, რომ რუსეთის უმსხვილესი ენერგო კორპორაცია „გაზპრომი“ ამ მომენტისთვის თავად აჩერებს ბიზნეს საქმიანობას გერმანიაში.[13]

საინტერესოა, რომ უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციის პარალელურად, გერმანიაში გააქტიურდა დისკუსია ატომური ელექტროსადგურების მუშაობის გახანგრძლივების შესახებ. როგორც ცნობილია, 2011 წელს იაპონიის ქალაქ ფუკუშიმას ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ტექნოლოგიური კატასტროფის შემდეგ, გერმანიამ გადაწყვეტილება მიიღო, უმოკლეს დროში დაეხურა მის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა ატომური ელექტროსადგური. ომის დაწყების შემდეგ, გერმანულ საზოგადოებაში ბირთვული ენერგიისადმი გაზრდილი მხარდაჭერის მიუხედავად[14], ატომური ელექტროსადგურების დახურვის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ ისევ ძალაში რჩება.[15]

4 აპრილს, გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ რუსული „გაზპრომის“ შვილობილ კომპანია „გაზრპომ გერმანიას“ დროებით მეურვედ დაუნიშნა გერმანიის ფედერალური ქსელის სააგენტო (German Network Agency). გერმანიის ეკონომიკის

12 https://www.auswaertiges-amt.de/en/newsroom/news/joint-statement-usa-and-germany/2472084; https://www.dw.com/en/germany-us-strike-nord-stream-2-compromise-deal/a-58575935

13 https://www.reuters.com/business/energy/russias-gazprom-exits-german-business-amid-row-over-pricing-2022-04-01/?utm_campaign=trueAnthem%3A%20Trending%20Content&utm_medium=trueAnthem&utm_source=facebook&fbclid=IwAR30IL00eiGkYennx4pYxzcFnmjWDF8SlFiwS0ZJ7xhaqsjakyy2ItLyO-A

14 https://www.iamexpat.de/expat-info/german-expat-news/survey-reveals-german-desire-keep-nuclear-power-plants-open#:~:text=Following%20the%20announcement%20that%20Germany,the%20plants'%20service%20lives%20extended.

15 https://www.bmuv.de/fileadmin/Daten_BMU/Download_PDF/Nukleare_Sicherheit/laufzeitverlaengerung_akw_bf.pdf

მინისტრის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება ემსახურება „საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას, ისევე როგორც მიწოდების უსაფრთხოების შენარჩუნებას“.[16] სავარაუდოდ, რობერტ ჰაბეკის აღნიშნული განკარგულება ძალაში დარჩება მიმდინარე წლის 30 სექტემბრამდე.

გერმანიამ ასევე განსაკუთრებული შეზღუდვები დააწესა რუსეთისთვის განკუთვნილ ტექნოლოგიურ ექსპორტზე, რაც შეუძლებელს გახდის რუსეთის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების მოდერნიზაციას. გადამუშავებული ნავთობის ევროპის კავშირში ექსპორტის შედეგად რუსეთმა 2019 წელს 24 მილიარდი ევროს შემოსავალი მიიღო. რა თქმა უნდა, ამ ოდენობის შემოსავლის შემცირება ან დაკარგვა რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტისთვის უკვალოდ არ ჩაივლის.

სატრანსპორტო სექტორი:

ევროპის კავშირის საჰაერო სივრცე დაიხურა იმ თვითმფრინავებისთვის, რომლებიც ეკუთვნის რუსეთს, რეგისტრირებულია რუსეთში, ან იმართება რუსეთიდან. აღნიშნული თვითმფრინავები ვეღარ მოახერხებენ ევროპის კავშირის ტერიტორიაზე დაშვებას, აფრენას, ან მის გადაკვეთას.

ასევე იკრძალება რუსული ავიაკომპანიებისთვის თვითმფრინავებისა და საფრენი აპარატების აღჭურვილობის ექსპორტი, გაყიდვა, ან გადაცემა, ისევე როგორც მათთვის შესაბამისი ტექნიკური, სარემონტო და ფინანსური მომსახურების გაწევა. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის საჰაერო ფლოტის სამი მეოთხედი წარმოებულია ევროპის კავშირში, ამერიკასა და კანადაში, მათ საშუალება აღარ ექნებათ საკუთარი საჰაერო ფლოტი ამუშაონ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ცხადია, ყველა ამ შეზღუდვას მხარი დაუჭირა და შეუერთდა გერმანია.

სანქციების შედეგად, დასავლეთმა გააუქმა რუსულ ავიაკომპანიებთან დადებული სალიზინგო ხელშეკრულებები. აღნიშნულის საპასუხოდ რუსეთმა მიიღო კანონი, რომლის თანახმად უცხოურ სალიზინგო კომპანიებს ეზღუდებათ შესაძლებლობა უკან დაიბრუნონ საკუთარი თვითმფრინავები.[17] დღევანდელი მდგომარეობით, ასეთი თვითმფრინავების რიცხვი 400-ს აღემატება.

სამრეწველო სექტორი:

შეიზღუდა რუსეთის წვდომა ისეთ მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ ნაწარმზე, როგორებიც ნახევარგამტარები და კომპიუტერული პროცესორებია.

ომის დაწყებიდან დღემდე რუსეთში წარმოდგენილი გერმანული ფირმების უდიდესმა ნაწილმა შეწყვიტა საქმიანობა და დატოვა ქვეყანა. მათ შორის არიან ისეთი ცნობადი გერმანული კომპანიები, ენერგო კონცერნები, ბრენდები და ორგანიზაციები, როგორებიცაა Volkswagen-ი, Daimler Truck-ი, Mercedes-Benz Group-ი, BMW, Knorr-Bremse, Adidas-ი, Hugo Boss-ი, Lufthansa, Deutsche Telekom-ი, RWE, Uniper-ი, E.ON-ი, Deutsche Bank-ი, Commerzbank-ი, Allianz-ი, Siemens Energy-ი და Siemens-ი. უდიდესმა გერმანულმა ფარმაკოლოგიურმა კონცერნმა Bayer-მა რუსეთსა და ბელორუსში შეაჩერა ყველანაირი საქმიანობა, რომელიც არ უკავშირ-

16 https://www.politico.eu/article/germany-puts-gazprom-subsidiary-temporarily-under-state-control/

17 https://www.bbc.com/news/business-60741161

დება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მედიკამენტების წარმოებას.[18] უკრაინაში სამხედრო ინტერვენციამდე, რუსეთში წარმოდგენილი იყო 3650 გერმანული კომპანია, რომლებიც საერთო ჯამში 280.000 ადამიანს ასაქმებდა.[19] გერმანულ საზოგადოებაში მზარდი წნეხის მიუხედავად, რამდენიმე დიდი გერმანული კომპანია ისევ აგრძელებს საქმიანობას რუსეთში. მათ შორისაა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მწარმოებელი კომპანია Claas-ი და სურსათის საბითუმო ვაჭრობის კომპანია METRO Deutschland GmbH.

ვიზების გაცემა:

რუს დიპლომატებსა და მათ ნათესავებს, ისევე როგორც რუს ბიზნესმენებს აღარ ექნებათ ევროპის კავშირში გამარტივებული, პრივილეგირებული სავიზო რეჟიმით შესვლის შესაძლებლობა. ცხადია, ამ შეზღუდვებში გერმანიაში შესვლის შესაძლებლობაც იგულისხმება, როგორც ევროკავშირის წევრ ქვეყანაში.

ინდივიდუალური შეზღუდვები კერძო პირებისა და დაწესებულებების წინააღმდეგ

ევროკავშირის დაწესებული სანქციები დამატებით ვრცელდება რუსეთსა და უცხოეთში 480 კერძო პირსა და ორგანიზაციაზე, რომლებიც უკრაინის წინააღმდეგ ომს მხარს უჭერენ. აღნიშნული ასევე ვრცელდება რუსეთის პრეზიდენტ პუტინსა და საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვზე, რუსეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს ხუთ წევრზე, რუსეთის პარლამენტის, დუმის ყველა წევრზე, კრემლის პრეს-მდივან პესკოვზე, რუსეთის ჯარის წარმომადგენლებზე და მრავალ რუს ოლიგარქზე.

დამატებითი შეზღუდვები

აღნიშნული სანქციების გარდა, ევროპის კავშირის კომისიის პრეზიდენტის, ურსულა ფონ დერ ლაიენის განცხადების შემდეგ, ევროპის კავშირის საბჭომ 2022 წლის 2 მარტიდან შეაჩერა რუსული დეზინფორმაციის გამავრცელებელი სახელწიფო არხების Russia Today-სა და Sputnik-ის მაუწყებლობა ევროპის კავშირის მასშტაბით.

ამ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა გერმანიის ლიცენზირებისა და ზედამხედველობის სააგენტოს 2 თებერვლის დადგენილება, რომლის თანახმადაც Russia Today-ს გერმანულენოვან არხს გერმანიის ტერიტორიაზე მაუწყებლობა აეკრძალა, რის საპასუხოდაც რუსეთმა მიმდინარე წლის 9 თებერვალს აკრედიტაცია შეუჩერა Deustche Welle-ს მოსკოვის ბიუროს, ხოლო 29 მარტს რუსეთის იუსტიციის სამინისტრომ გერმანიის სახელმწიფო მაუწყებელი „უცხო ქვეყნის აგენტად“ გამოაცხადა.[20]

ამასთანავე, უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციის მხარდაჭერისთვის, ევროპის კავშირმა 2 მარტიდან ახალი სანქციები დაუწესა ბელარუსს. ზომები მო-

18 https://www.tagesschau.de/wirtschaft/unternehmen/russland-rueckzug-unternehmen-103.html

19 https://www.agrarheute.com/management/agribusiness/welche-deutschen-firmen-russland-bleiben-591735

20 https://www.dw.com/en/dws-moscow-bureau-closes-after-russian-ban/a-60657233; https://www.dw.com/de/russland-stuft-dw-als-ausl%C3%A4ndischen-agenten-ein/a-61282343

იცავს ახალ ეკონომიკურ სანქციებს და ვრცელდება ბელარუსის იმ ოფიციალური პირებზე და სამხედროებზე, რომლებიც უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე სამხედრო აგრესიაში მონაწილეობენ.

რუსული საჯარისო შენაერთების მიერ ქალაქ ბუჩაში მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი სისასტიკისა და სამხედრო დანაშაულის ფაქტების გამოაშკარავების შემდეგ, მიმდინარე წლის 4 აპრილს გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ ქვეყნიდან გააძევა (არასასურველ პირად გამოაცხადა) 40 რუსი დიპლომატი.[21]

როგორც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული „ამ არაადამიანობას ჩვენ საკუთარი თავისუფლებისა და ადამიანობის ძალა უნდა დავუპირისპიროთ. თუმცა, ასევე ცხადი უნდა იყოს, რომ ჩვენ უნდა შეგვეძლოს ჩვენი თავისუფლების უზრუნველყოფა და მზად უნდა ვიყოთ მის დასაცავად.“

უკრაინაში რუსეთის ინტერვენციას მშვიდობიანი მოსახლეობის სრულიად გაუმართლებელი მსხვერპლი ახლავს თან. რუსული ძალების მიერ ჩადენილი სისასტიკე კი სამხედრო დანაშაულის კვალიფიკაციას იძენს. ამ პროცესების ფონზე, სწრაფად იცვლება გერმანული საზოგადოების დამოკიდებულება რუსეთისადმი. 24 თებერვლიდან რუსეთისადმი არსებული კეთილგანწყობა ყოველდღიურად მცირდება. ულტრა-მემარჯვენე პარტია AFD-ს (Alternative für Deutschland - ალტერნატივა გერმანიისთვის) გამოკლებით, გერმანიის პოლიტიკური სპექტრი თანხმდება რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გაზრდისა და უკრაინისთვის გერმანული შეიარაღების მიწოდების აუცილებლობაზე. გახშირდა კრიტიკული მოსაზრებები ანგელა მერკელის მმართველობის დროს რუსეთთან მიმართებით დაშვებულ შეცდომებსა და რუსეთზე ენერგო-დამოკიდებულების პოლიტიკის მართებულობის შესახებ. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ გერმანიაში აქამდე არსებულმა „რუსეთის პოლიტიკამ“ საკუთარი თავი ამოწურა და საზოგადოებაში მისი სრულფასოვანი გააზრების მოთხოვნა გაჩნდა.

მიუხედავად ამისა, გერმანია ჯერ ისევ მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რუსულ ენერგომატარებლებზე. გერმანიის მმართველი კოალიციის სურვილის მიუხედავად, ალტერნატიული წყაროების მოძიებას გარკვეული დრო დასჭირდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, გერმანია-რუსეთის ურთიერთობების მომავალი მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული გერმანული საზოგადოების მზადყოფნაზე, შეიცვალოს დამოკიდებულება პუტინის რეჟიმის მიმართ და საბოლოოდ ითქვას უარი რუსეთის აგრესიული პოლიტიკის ირიბ მხარდაჭერაზე.

21 https://www.auswaertiges-amt.de/de/newsroom/ausweisung-russische-diplomaten/2521100?pk_campaign=newsletter_Pressemitteilung_2022_04_04&pk_kwd=link_Au%C3%9Fenministerin+Baerbock+zur+heutigen+Ausweisung+russischer+Diplomaten+aus+Deutschland

აპრილი, 2022